# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 19 სექტემბერი 1995 № 59 (197) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ



## ქეთევან არახამია და ნანა იოსელიანი

კიშინიოვში დასრულდა ქალთა საერთაშორისო ტურნირი. ბოლო, მე-13 ტურმა ადგილებიც საბოლოოდ გაანაწილა და პრეტენდენტთა ტურნირის 6 საგზურიც: 1. ქეთევან არახამია (საქართველო) 9,5 ქულა; 2. ქეთევან კახიანი (გერმანია) 9; 3 ნანა იოსელიანი (საქართველო) 8,5; 4. ალისა გალიამოვა (რუსეთი) 8,5; 5. ალისა მარიჩი (იუგოსლავია) 8,5; 6. ზოაგინ პენგი (ჩინეთი) 8,5. ამ ექვსეულს გაისად, პრეტენდენტთა ტურნირში დაემატება მაია ჩიბურდანიძე.

ნინო გურიელი ბოლო ტურში გალიამოვასთან დამარცხდა და იმდენივე ქულა მოაგროვა, რამდენიც მისანოვიჩმა, კოეფიციენტებით კი მისი მომდევნო, მე-8 ადგილი ერგო. ნინო ხურციძე 7,5 ქულით მე-15 იყო, მირანდა ხორავა — 7 — 23-ე, ნატო ეძგვერაძე — 6,5 — 25-ე, მაია ლომინეიშვილი — 6 — 36-ე, ნათია ჯანჯღავა — 4,5 — 49-ე.

თენგიზ გიორგაძე

## „დინამომ" დაიწყო?

**ეროვნული ჩემპიონატის ლიდერთაგანმა ქუთაისის «ტორპედომ» კვირას მხოლოდ პირველ ტაიმში გაუძლო თბილისის «დინამოს». შემდეგ კი აქამდე ქულადაუკარგავმა და გოლგაუშვებელმა გუნდმა ერთბაშად ხუთი გოლიც გაუშვა და სამი ქულაც დაკარგა — 1:5**





ალექსანდრე იაშვილს გოლი არ გაუტანია, მაგრამ წაქცეულიც კი კარში დარტყმას ცდილობდა



გარდატეხა მეორე ტაიმში გიორგი დემეტრაძის გამოჩენას მოყვა

იხილეთ მეორე გვერდი

გია ახალაძის ფოტოები

## საგარეჯოული დუბლი

თბილისის სპორტის სასახლეში გამართული ქართული ჭიდაობის მართლაც რომ ზეიმი საგარეჯოელთა ტრიუმფით დასრულდა. ჯერ იყო და, გარეკახელებმა გუნდური ჩემპიონატი მოიგეს, როცა ფინალში კასპის გუნდი სძლიეს. მერე კი აბსოლუტური ფალავნობის ჯერი დადგა...

ფალავნობას ოცი მოჭიდავე ეცილებოდა ერთმანეთს. პირველი დღის შემდეგ გამოირკვა უძლიერესი ოქტეტი, რომელმაც ბრძოლა ოლიმპიური სისტემით გააგრძელა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საგარეჯოელი ვალერი პარუნაშვილი და თელაველი მამუკა ბოტკოველი, რომელიც ერთი წელიწადია, რაც ძიუდოს ერთ-ერთ იტალიურ კლუბში ვარჯიშობს. გაიმარჯვა პარუნაშვილმა და გახდა საქართველოს აბსოლუტური ფალავანი.

ტურნირებს შორის კი მოეწყო ქართული ჭიდაობის ფედერაციის არჩევნები. პრეზიდენტი ხელახალი ვადით აირჩიეს ბატონი ნიკო იაშვილი.

### კალათბურთი

ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. წინასწარი ეტაპის საპასუხო მატჩი

„ჟალგირისი" (ლიტვა) — „ვითა" 100:69

ჟალგირისი: სტუმბრისი (10), ვისოცკასი (13), სირტაუტასი (10), მასკალიუნასი (3), ლუკმინასი (16), ბაბიჩი (2), ბრინი (15), შესტოკასი (20), ჟუკაუსკასი (7), კურტინაიტისი (4)

ვითა: შენგელია (16), სანაძე (14), კობეშავიძე (13), ჩხეიძე (11), კოკოლიშვილი (7), ტურაშვილი (3), ბაქრაძე (2), თორთლაძე (2), დადიანი (1)

### საქართველოს ჩემპიონატი

6-ე ტური, 17 სექტემბერი

ეგრისი 1:0 ივერია
კახეთი 1:0 შევარდენი
გურია 0:4 მარგვეთი
დურუჯი 0:1 დილა
სიონი 0:2 მეტალურგი
სამტრედია 5:2 ზუგდიდი

კოლხეთი — ბათუმი გუშინ გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 6 | 6 | 0 | 0 | 17-3 | 18 |
| მარგვეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 19-4 | 15 |
| ტორპედო | 6 | 5 | 0 | 1 | 18-5 | 15 |
| დილა | 6 | 4 | 1 | 1 | 13-8 | 13 |
| სამტრედია | 4 | 4 | 0 | 0 | 17-6 | 12 |
| კოლხეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| შევარდენი | 6 | 3 | 0 | 3 | 12-10 | 9 |
| დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 9-2 | 7 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-4 | 7 |
| ზუგდიდი | 5 | 2 | 0 | 3 | 11-13 | 6 |
| კახეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 4-12 | 4 |
| ეგრისი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-13 | 3 |
| სიონი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-17 | 3 |
| გურია | 6 | 1 | 0 | 5 | 2-18 | 3 |
| დურუჯი | 6 | 0 | 1 | 5 | 0-19 | 1 |
| ივერია | 6 | 0 | 0 | 6 | 3-15 | 0 |

## რა სეზონი გამიცდა?!

„სპარტაკ-ალანია" — „ლივერპულის" მატჩის წინ ვლადიკავკაზელთა სათადარიგო სკამზე სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ზაზა რევიშვილიც იჯდა...



**— ზაზა, ნუთუ დღეს თამაშობ?**

— დღეს კი არა, კიდევ კარგა ხანს ვერ ვითამაშებ. ჯერ მაისში უნდა დამეწყო ვარჯიში, მერე შემდგომ თვეებში, მაგრამ ბოტკინი იმაზე ვერაგი ყოფილა, ვიდრე მეგონა. მართალია, ვარჯიში უკვე კარგა ხნის დაწყებული მაქვს, მაგრამ დიდი დატვირთვები მაინც არ შეიძლება. მოკლედ, გამიცდა წლევანდელი სეზონი. არადა, რა კარგად დავიწყე...

**— ესე იგი, ფაქტიურად, ახალი სეზონისთვის ემზადები...**

— ეგრეა. ერთი სული მაქვს, როდის დავიწყებ თამაშს, განსაკუთრებით კი ნაკრების მატჩებს ველოდები, გაისამდე ალბათ საბოლოოდ გამოვჯანმრთელდები და, ვფიქრობ, ჩვეულ ფორმასაც აღვიდგენ.

მამუკა კვარაცხელია



საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ჯგუფი

დინამო 5:1 ტორპედო

VI ტური, 17 სექტემბერი

დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე (მუჯირი), დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, კობიაშვილი, კერძევაძე, ცქიტიშვილი (დემეტრაძე) იაშვილი

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, ვოსკანოვი, ნიქარიშვილი კვეტენაძე (გიორგობიანი), ხუნდაძე, ნოზაძე, აშვეთია, ვაჩიბერაძე (შენგელია)

1:0 გოგიჩაიშვილი (46 პ), 2:0 დემეტრაძე (52), 3:0 კერძევაძე (59), 4:0 დემეტრაძე (64), 4:1 ხუნდაძე (67), 5:1 მუჯირი (70)

გაფრთხილება: შეყრლაძე, კალაძე

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

# «დინამოს» შიშს დიდი თვალები აქვს

კვიპროსიდან დაბრუნებული როინ კერძევაძე „დინამოს" სრულუფლებიანი წევრი გახდა

ტურის ცენტრალურმა მატჩმა მაყურებლის ინტერესი ვერ დააკმაყოფილა. მოსალოდნელი დაძაბული შეხვედრა რომ ვერ ვიხილეთ, ამაზე შედეგიც მეტყველებს. თუმცა, პირველი ტაიმის შემდეგ ქუთაისელთა ასეთ გამანადგურებელ მარცხს „დინამოს" ყველაზე ოპტიმისტი ქომაგიც კი ვერ წარმოიდგენდა. არადა, რიონისპირელებმა თამაშის პირველ ნახევარში უშელავათო პაექრობა გაუჩაღეს თბილისელებს და მოედანზე მჭიდრო, აქტიური მოქმედებების ხარჯზე შეეცადნენ თამაშის სასურველი კალაპოტით წარმართავს. ამ დროს ნაყოფიერად მოქმედებდა ქუთაისელთა შუა ხაზი, რომელიც ცდილობდა სათამაშო სივრცე მოესპო თბილისელი „კოლეგებისთვის". მოკლედ, პირველი ნახევარი საკმაოდ საინტერესო და მძაფრი გახლდათ. მეტოქეები ალაგ-ალაგ არც უხეშობას ერიდებოდნენ და რომ არა არბიტრის ლმობიერება, ყვითელი ბარათების ოდენობა მეტი იქნებოდა, ზოგიერთ მოასპარეზეს კი დროზე ადრეც მოუწევდა დასვენება. თუმცა, ეს ყოველივე მსაჯის კომპეტენციაა და სულაც არ ვაპირებ მისი მოქმედებების შეფასებას.

მასპინძლები ცდილობდნენ, ხშირად გამოეყენებინათ ფლანგები, ქუთაისელები კი უფრო ცენტრიდან გარღვევებს მიეძალნენ და ყოველ ხელსაყრელ ვითარებაში აშვეთიას აწვდიდნენ ბურთს. არადა, იმ დღეს მას კახა კალაძემ ხელ-ფეხი შეუბორკა — მჭიდრო თამაშით საჯარიმოში მოქმედების საშუალება მოუსპო. „ტორპედოს" თავდამსხმელი ვაჩიბერაძეც საიმედოდ ჰყავდა „შებორკილი" ლობჟანიძეს, რომელიც, სხვათა შორის, მარტო დაცვაში თამაშით არ კმაყოფილდებოდა და ხან მარჯვენა ფლანგიდან, ხანაც ცენტრიდან, საკმაოდ ხშირად და სასარგებლოდ ერთვებოდა შეტევებში. პირველ ტაიმში ვერც თბილისელი თავდამსხმელები ნებივრობდნენ ხელაძის კართან — იაშვილსა და კერძევაძეს ფხიზლად დარაჯობდნენ ჩხაბერიძე და შეყრილაძე.

პირველი სახიფათო მომენტი „ტორპედოს" კართან ოცდამერვე წუთზე შეიქმნა. ეს იმ დროს, როდესაც ქუთაისელებმა ერთგვარ სათამაშო უპირატესობას მიაღწიეს. იაშვილი დაუსხლტა მეტოქეს, თანაც ისე, რომ ცრუ მოძრაობით მინდორზე დააწვინა და მხოლოდ დარტყმის ძალა არ ეყო ანგარიშის გასახსნელად. ამას შეტევების მთელი სერია მოჰყვა ხელაძის კართან, სადაც მოქმედებები მარჯვენა ფლანგიდან ვითარდებოდა. ჯერ იაშვილის ჩაწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა როინ კერძევაძემ, შემდეგ კი გოგიჩაიშვილის გადაცემა ვერ გამოიყენა იაშვილმა. ამ ორივე შემთხვევაში იმერთა მეკარემ იმარჯვა და პირველი ტაიმიც 0:0 დასრულდა.

მეორე ნახევარი პირველი ნახევრისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა. არ ვიცი, გაშვებული გოლის ბრალია, იმ ავადსახსენებელი „პირველი გოლის ფაქტორისა" თუ „დინამოს" კომპლექსისა, რომელიც მრავალ გუნდს სჭირს, მაგრამ ფაქტია — სტუმრები ერთბაშად მოეშვნენ და აქამდე მშრალად შენახულ კარში ერთბაშად ხუთი ბურთი გაუშვეს. ეს ყოველივე ახალგაზრდა დემეტრაძის გამოჩენას მოჰყვა, რომელმაც კერძევაძის პოზიცია დაიკავა, ეს უკანასკნელი კი გამთამაშებლად მოგვევლინა. თბილისელები უფრო სწრაფად და მწვავედ ამოქმედდნენ, გააქტიურდა ნახევარდაცვაც და ამან აკი მალე გამოიღო შედეგი: დემეტრაძემ ორჯერ, კერძევაძემ, გოგიჩაიშვილმა და მუჯირმა ხუთჯერ გააწბილეს ქუთაისელები. განსაკუთრებით გამოსარჩევია ახალგაზრდა დავით მუჯირის გოლი. მისი მოედანზე შემოსვლა და ბურთთან გაკარება გოლით (თანაც როგორი!) დასრულდა. ქუთაისელი მცველების გარემოცვაში მან ბურთი აკეწლა, დაამუშავა, მკერდით გაისწორა და მაკრატელათი ცხრიანში ულამაზესი გოლი გაიტანა. ამას სტუმრებმა მამუკა ხუნდაძის ასევე ლამაზი, მაგრამ ერთადერთი გოლით უპასუხეს, თუმცა ამ დროისთვის მატჩის შედეგი ალარავის აეჭვებდა. ძნელია, ეს წაგება მარტოოდენ დაცვის შეცდომებით ახსნა, თუმცა ესეცაა, რომ მეორე ნახევარში თბილისელი თავდამსხმელები ნება-ნება მოქმედებდნენ, მათი ხელის შემშლელი მცველები კი არ ჩანდნენ. მოკლედ, თბილისელებმა სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით, თუმცა, სტუმართა მოქმედებამ პირველ ტაიმში იმედი ჩაგვისახა, რომ გამოცდილების მილების კვალად მალე ამ გუნდის უკეთეს თამაშს ვიხილავთ.

შეხვედრის შემდეგ „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი რევაზ ბურკაძე, ბუნებრივია უხასიათოდ გახლდათ, თუმცა მაინც დაგვთანხმდა თამაშის კომენტირებაზე: „მართალია, „დინამო" ძლიერი გუნდია, მაგრამ ჩვენ ძალიან სუსტად ვითამაშეთ და ამით თბილისელებს ხელ-ფეხი გავუხსენით. მარცხის მიზეზებს სერიოზულად გავაანალიზებთ. შესაძლებლობების მხოლოდ ოცი პროცენტი თუ გამოვამჟღავნეთ. თუმცა, შესაძლოა კარგიც იყოს, რომ დავმარცხდით, ნაკლი უკეთესად დავინახეთ. საერთოდ, ჩვენ თბილისის „დინამოს" კომპლექსი გვაქვს და თუ ვერ მოვიცილეთ, გუნდად ვერ ჩამოვყალიბდებით."

დავით ყიფიანი გაოცებული დარჩა, როდესაც მატჩის კომენტარი ვთხოვეთ.

— რა უნდა გითხრათ მატჩზე, რომელიც 5:1 მოვიგეთ? თუმცა, პირველ ტაიმში ქუთაისელებმა კარგად ითამაშეს.

**— რას ფიქრობთ, რის ხარჯზე შეძლო „დინამომ" გამარჯვება?**

— მეტი ოსტატობის. ეს არის მთავარი.

გიორგი დემეტრაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო დინამოელთაგან.

— მოედანზე თავისუფლად, დაუძაბავად გავედი, რადგან ჩვენ დასაკარგი არაფერი გვქონდა. ვიცოდით, ქუთაისს კარგი გუნდი ჰყავდა და დიდი ბრძოლაც გველოდა, მაგრამ შევძელით მათი დამარცხება. ისაც მიხარია, რომ „ტორპედოს" დაცვას, რომელსაც ჯერ ბურთი არ ჰქონდა გაშვებული, ასე ადვილად მოვერიეთ.

მიხეილ აშვეთიას იმ დღეს არ გაუმართლა — თამაში არ წაუვიდა. ეს ქუთაისელმა თავდამსხმელმა კალაძის კარგი თამაშით ახსნა.

**— კალაძემ კი ითამაშა კარგად, მაგრამ ეს ხომ გარკვეულად შენზეც იყო დამოკიდებული?**

— ჩემი ბრალიც იყო. შეხვედრისთვის კარგად ვერ მოვემზადე, დარწმუნებული არ ვიყავი, რომ კარგად ვითამაშებდი.

ქუთაისელთა კაპიტანი მამუკა ხუნდაძე: „წაგების მიზეზი ჩვენშია საძიებელი. ძალიან თავდაჯერებულები ვიყავით. თუმცა, ეს წაგება შეიძლება, ჩვენთვის უკეთესიც იყოს. ამ ერთი თამაშით არ წყდება ყველაფერი. მალე შინ ძლიერ გუნდებს ვხვდებით და დღევანდელი მატჩი გაკვეთილად გამოგვადგება".

მერაბ მამულაშვილი

გია ახალაძის
ფოტოები



ქუთაისელი კახა კვეტენაძე (7) და გივი დიდავა

# აქამდე არც მიფიქრია...

## მოთამაშეთა პროფკავშირი საჭირო რამაა

„სამტრედიაზე" მითქმა-მოთქმა არა და არ წყდება. [illegible] გუნდი ოთხმა მოთამაშემ — გია ჯიშკარიანმა, დათო ცომაიამ, [illegible] ჯიკაევმა დატოვეს. ბუნებრივია, საინტერესოა, რატომ გაიდგეს მათ ეს ნაბიჯი. ამის გასარკვევად დიღმის ბაზაზე მოვარჯიშე გია ჯიშკარიანსა და დათო ცომაიას მივაკითხე.



დავით ცომაია



გია ჯიშკარიანი

ცომაია: ზაზა ჯანაშიაც მალე სხვა გუნდში გადავა. მისით მოსკოვის „ლოკომოტივია" დაინტერესებული. ჯიკაევი და გოგიტაძე „შევარდენში" ვარჯიშობენ, „სამტრედიაში" თამაში აღარ სურდათ. ასევე ვართ მე და გიაც. იგივე ითქმის ხურცილავაზეც. მიზეზი ისაა, რომ კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება გვქონდა კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო. რა თქმა უნდა, გული გვწყდება — „სამტრედია" ხომ წელს კიდევ უფრო გაძლიერდა და, ბუნებრივია, ძნელია ასეთ გუნდს შეელიო, მაგრამ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და მასზე თვალს ვერ დავხუჭავთ. საქმე აწყობილი რომ გვქონოდა, „სამტრედიას" ვინ დატოვებდა? ყველაფერი ცხოვრებისეულმა ამბებმა გადაწყვიტა. მე და გია სამტრედიაში კლუბის ხელმძღვანელებს შევხვდით, მაგრამ არ დაგვაკმაყოფილა საუბარმა და მას შემდეგ ჩვენ გუნდი დავტოვეთ.

ჯიშკარიანი: სეზონის წინ „სამტრედია" რომ გაძლიერდა, გუნდიდან წამოსვლაზე არც ვფიქრობდით. მაგრამ კონტრაქტის პირობები არ შეგვისრულდა და ყოველგვარი კონფლიქტის გარეშე წამოვედით. სხვანაირად არ გამოდიოდა. სამტრედიელებისგან სითბოსა და სიყვარულის გარდა არაფერი მახსოვს და მათი დიდი მადლობელი ვარ იქ გატარებული ერთი წლის გამო. გამიხარდება, თუ სამტრედიას ძლიერი გუნდი ეყოლება. ჩვენ მათ ყოველთვის ვუგულშემატკივრებთ. რაც შეეხება გუნდში დარჩენილებს, როგორც ვიცი, ზოგიერთი მათგანიც ჩვენ დღეშია, მაგრამ მაინც დარჩნენ. ყოველ შემთხვევაში, გუნდი არ დაშლილა და არც მგონია, დაიშალოს.

**— რა მოხდა ბათუმში? შეიძლებოდა თუ არა „ვარდართან" მოგება, გუნდში ნორმალური ფინანსური მდგომარეობა რომ ყოფილიყო?**

— ცომაია: ბათუმში გაშვებულმა პირველმა გოლმა, ფაქტიურად, თამაში ფორმალობად აქცია — ძნელი იყო სამი ბურთის გატანა და ბიჭებიც ინერციითლა აგრძელებდნენ თამაშს. თანაც: გუნდში შექმნილ ატმოსფეროს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ფულის გამო არ ვითამაშეთ. ეს გამორიცხულია. გუნდმა ისე ითამაშა, როგორც შეეძლო. ამასთან, ფეხბურთში ბედიც ბევრს ნიშნავს, ბედმა კი სწორედ მაკედონიელებს გაუღიმა. პირველ ტაიმში გოლის გატანა რომ მოგვეხერხებინა, სულ სხვა თამაში წავიდოდა. ერთიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი: ბათუმში მართლაც მშვენივრად მიგვიღეს, მაგრამ სულ სხვა იქნებოდა, „ვარდართან" სამტრედიაში რომ გვეთამაშა. საკუთარი მოედანი მაინც ძალიან ბევრს ნიშნავს. მართალია, „ვარდარი" ძლიერი გუნდია, მაგრამ არც ისეთი, რომ ვერ დაგვემარცხებინა.

ჯიშკარიანი: პირველი მატჩის შემდეგ მოგების იმედი კი გვქონდა, მაგრამ არც ისე იყო საქმე, გულშემატკივრები რომ ფიქრობდნენ, არიქა, აუცილებლად უნდა მოვიგოთო. „ვარდარს" ძალიან დიდი უპირატესობა ჰქონდა ჩვენთან შედარებით: მისი ექვსი წევრი ნაკრებში თამაშობს, გაცილებით გამოცდილებიც არიან, თანაც, „ვარდარმა" შარშანაც ითამაშა უეფას თასზე. მაგრამ მე მაინც ვეთანხმები დათოს იმაში, რომ პირველ გოლს თუ გავიტანდით, საპასუხო თამაშის მოგებას შევძლებდით.

**— „სამტრედიის" პრეზიდენტის, ტარიელ ჩაჩუას აზრით, თამაშის წაგების მიზეზი გუნდის არასწორი მომზადება და სათამაშო უდისციპლინობა იყო.**

— ცომაია: ფეხბურთელი მწვრთნელის დავალებას ასრულებს და ვინ როგორ ამზადებს გუნდს, ეს ჩემი განსასჯელი არ არის.

ჯიშკარიანი: წაგებას ყველა თავისებურად ხსნის. ეს ბუნებრივიცაა. პირველი თამაშის შედეგით ყველა კმაყოფილი იყო, მათ შორის გუნდის ხელმძღვანელობაც. მეორე თამაშისთვისაც ჩვეულებრივ მოვემზადეთ, მაგრამ „ვარდარი" იმ დღეს ჩვენზე ძლიერი იყო. ეს იყო წაგების მიზეზი.

**— ახლა რას აპირებთ?**

— ცომაია: საქართველოში თამაშის უფლებას ჯერ არ გვაძლევენ. თუ ნორმალურ პირობებს შემომთავაზებენ, რა მინდა უცხოეთში? თუ არა, რუსეთში ან უკრაინაში წავალ. ასე მგონია, ფედერაციამ სხვა გუნდში გადასვლის უფლება უნდა მოგვცეს, რადგან „სამტრედიიდან" კონტრაქტის პირობების შეუსრულებლობის გამო წამოვედით და ამაში ჩვენ, ფეხბურთელები დამნაშავენი არ ვყოფილვართ. ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში ფედერაციამ გამონაკლისი უნდა დაუშვას. ჩვენ დღეისთვის ჰაერში გამოკიდებულები ვართ. თავის პოზიციას ფედერაცია იმით ასაბუთებს, რომ თუ ერთ გამონაკლისს დაუშვებენ, ამას სხვებიც მოითხოვენ. ისინი თავისებურად მართლები არიან მაგრამ ჩვენ, ფეხბურთელები რომ ვიჩაგრებით?! ჩემი აზრით, როდესაც ფეხბურთელს კონტრაქტს არ უსრულებენ, მას სხვა გუნდში თამაშის ნება უნდა დართონ.

ჯიშკარიანი: მართალია დათო. ჩვენ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. შარშან რომ გვეგონა, დიდ საქმეს ვაკეთებდით, უცებ უსაქმოდ დავრჩით. წელს ამ ბულებით მეორე წრემდე საქართველოს გუნდებში ვერ გადავალთ, ნახევარი სეზონი გაგვიცდება და ბევრსაც დავკარგავთ. საქართველოში იმ პირობით დავრჩები, თუ „სამტრედიისნაირი" ამბიციების მქონე გუნდი მიმიწვევს. ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მე სულ ასეთ გუნდებში ვთამაშობდი.

**— მოთამაშეთა ინტერესების დასაცავად უცხოეთში არსებობს მოთამაშეთა პროფესიული კავშირები. გვინდა თუ არა, ცხოვრება, ალბათ, ჩვენთანაც მოიტანს ასეთი კავშირის აუცილებლობას.**

— ცომაია: თუ ყველა ნორმალურ ქვეყანაში მოქმედებს ასეთი კავშირები, ჩვენთანაც, ალბათ, საჭირო იქნება. ყველა ხომ იმ დონის ფეხბურთელი არ არის, უცხოეთში რომ მიიწვიონ. ჩემნაირ ვითარებაში ჩავარდნილი ფორმიდან ამოვარდება და სამ-ოთხ თვეს, ფაქტიურად, დაკარგავს. ეს კი ფეხბურთელისთვის პატარა დრო არ არის.

ჯიშკარიანი: სიმართლე რომ გითხრა, ამ საკითხზე არც მიფიქრია, მაგრამ, რომ დაფიქრდე, ასეთი ორგანიზაციის დაარსება საჭიროა. მარტო ვარჯიშით ძნელია ფორმის შენარჩუნება, ფეხბურთელისთვის მთავარი მაინც სათამაშო პრაქტიკაა. რატომ არ გვაძლევენ ამის საშუალებას, ამაზე დათომ უკვე ილაპარაკა. ჩვენი ბედი ჯერჯერობით სხვებზეა დამოკიდებული.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბათუმელთა ხუთი გოლი



მაჭუტაძის დარტყმულმა და მაკინლის ფეხიდან ასხლეტილმა ბურთმა ბათუმელებს ანგარიში გაახსნევინა



ეს ეპიზოდი სტუმრებმა მესამე გოლით დაასრულეს

ბათუმში ჩასულს უმალ წინასამატჩო სამზადისი და ფაციფუცი გეცემოდა თვალში. სტუმრების ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ. უკვე წინადღით ერთობ აქტიურობდნენ სამართალდამცავი ორგანოები. 13 აგვისტოს სტადიონს პირველები მატჩის კომისარი ჰორსტ ბრუმაიერი და მსაჯები ეწვივნენ. ეს ის ბრუმაიერია, რომელმაც მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის თამაში იმსაჯა. უეფას წარმომადგენელმა სათამაშო მინდორი და გასახდელები შეამოწმა. როცა შთაბეჭდილებას დაეკითხნენ, ყველაფერი რიგზეაო, ბრძანა, შემდეგ ივარჯიშეს სტუმრებმა, რომელთაც საკვები და წყალიც კი სამშობლოდან ჩამოეტანათ.

მოგეხსენებათ, მთელი სპორტული კომპლექსი სარეკორდოდ მცირე დროში — სამ კვირაში მოეწყო. სტადიონი, როგორიც „სელტიკამდე“ სამი კვირით ადრე იყო, უმნიშვნელო ცვლილებებს თუ არ ჩავთვლით, ისევ ისე გამოიყურებოდა. ამან იყო, რომ მაფიქრებინა, თუ ჩვენები თასების თასის ამ წრეში ვერ ივარგებენ, ამ მშვენიერ კომპლექსს საბოლოო დამთავრება არ უწერია-მეთქი, მაგრამ შემდეგ აჭარის ტელევიზიით ბატონ ასლან აბაშიძის გამოსვლამ დამამშვიდა. არა აქვს მნიშვნელობა, რა შედეგით დამთავრდება „სელტიკთან“ ორრაუნდიანი ბრძოლა, სამუშაოები პროექტის მიხედვით გაგრძელდება და სტადიონიც ბოლომდე კეთილმოეწყობაო, თქვა ბატონმა ასლანმა.

თამაშის დღეს დილის ცხრა საათიდან ქალაქის ქუჩები პოლიციელებმა გადაკეტეს. ათ საათზე კომისარმა და მსაჯებმა სტადიონი კიდევ ერთხელ შეამოწმეს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთან პრესცენტრში განმარტოვდნენ, სადაც ნახევარი საათი ისაუბრეს. წინა თამაშთან შედარებით თბილისიდან ჩასულ ჟურნალისტებს ამჯერად ისე აღარ გაგვჭირვებია, ასე, ორის ნახევრისთვის კუთვნილი საშვები მივიღეთ და ისლა გვქონდა საფიქრალი, თამაშამდედრო როგორ მოგვეკლა. მატჩამდე ნახევარი საათით ადრე როგორც იქნა სტადიონის ტერიტორიაზე შევაღწიე. სასტარტო შემადგენლობების ამოსაწერად მისულს, ვერავინ მითხრა, სტუმართა გუნდში ვინ და რა ნომრით ითამაშებდა. ბოლოს ბატონმა ნუგზარ ჯუღელმა მიშველა და ბევრი დავიდარაბის შემდეგ პრეს-ლოჟაში კუთვნილი ადგილი დავიკავე. პრეს-ლოჟა რატომღაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ გადმოეტანათ და კიდევ კარგი, ღრუბლიანი ამინდი იდგა, თორემ მტრისას, ჩვენ იქ დღე დაგვადგებოდა.

***

მოთელვაზე პირველად სტუმრები გამოვიდნენ. ბათუმელი ფეხბურთელების გამოჩენას დიდი ოვაციები და ისეთი ყიჟინა მოჰყვა, მეგონა იქაურობა დაინგრეოდა. რა თქმა უნდა, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ განმეორდა — როცა ჩვენებმა გოლები შეაგდეს. მალე მსაჯებიც გამოჩნდნენ და მეტოქეები სათამაშოდ მიიწვიეს.

თამაში ბათუმელთა შეტევებით დაიწყო. ორივე გუნდი ერთნაირი ტაქტიკური სქემით 4-4-2 თამაშობდა. სტუმრებს წინ უოკერი და ტომი ჰყავდათ, რომელთაც ზურგს გუნდის კაპიტანი კოლინზი უმაგრებდა. დაცვაში კი ბოიდი, მაკინლი, ჰიუზი და ჩვენთვის კარგად ნაცნობი ალბანელი ვატა გაემწესებინათ. ვალერიან ჩხარტიშვილმა „ობილიჩთან“ მეორე ნახევარში თავგამოდებული შემადგენლობა გამოიყვანა, რომელსაც მხოლოდ კანტიძე აკლდა. იყო ერთი სიახლეც: მარჯვენა ნახევარმცველი ტულუში უფრო შუიდან უტევდა და თორლაშვილს მოედნის ცენტრის გაკონტროლებაში შველოდა. როგორც ყოველთვის, აქტიურობდა მუჯირი, რომელმაც იმ დღეს სისხლი გაუშრო ვატას. სწორედ მის მიერ წამოწყებული კომბინაციის შემდეგ გავიდა გოლი. მერვე წუთზე გარღვევაზე გასულმა ბურთი ოდნავ უკან მაჭუტაძეს დაუგორა, პაატას არ დაუხანებია და კარში ძლიერად დაარტყა. მაკინლი თავგანწირვით ჩაუვარდა ფეხებში, მაგრამ დააგვიანა — ბურთმა ტრაექტორია შეიცვალა, აყლაყუდა მარშლის ნახტომი კი ამაო გამოდგა. ბათუმელ ფეხბურთელებს ფრთები შეესხათ, ისევ შეუტიეს, თუმცა „სელტიკმა“ შეძლო თამაშის დამშვიდება და ერთი ხანობა ლამის ბურთი დაუმალეს მასპინძლა. დინამოელები ისევ ეძებდნენ მეტოქის დაცვაში სუსტ ადგილებს. უჯმაჯურიძის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის ბოიდმა ყვითელი ბარათიც მიიღო, მაგრამ სტუმართა კონტრშეტევები სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. „სელტიკმა“ ანგარიში ოცდამესამე წუთზე გაათანაბრა. სრულიად უწყინარ სიტუაციაში ვატამ ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან ჩააწოდა. მცველთა დასახმარებლად ჩამოსულ მაჭუტაძეს მოგერიებისას ბურთი ფეხზე აეჭრა და მეკარის სიახლოვეს უმეთვალყუროდ დარჩენილ გერმანელ ანდრეას ტომს მიუვიდა, რომელმაც ბალაძეს შანსი არ დაუტოვა. ამის შემდეგ თამაში აირია. სტუმრები გათამამდნენ და სულ უფრო დიდი ძალებით უტევდნენ. ბათუმელებმა სახეირო მხოლოდ ორი კონტრშეტევა გაითამაშეს. ჯერ მუჯირი, უკვე მერამდენედ, გაექცა ვატას და სახიფათოდ ჩააწოდა, მაჭუტაძემ წამით დააგვიანა, ხოლო შემდეგ შეყილაძემ მოაწყო რეიდი სტუმართა კარისკენ, რომელიც ძლიერი დარტყმით დაამთავრა. მეკარემ ბურთი უხერხულად მოიგერია, მაგრამ დამმატებელი არავინ გამოჩნდა. ამასობაში კი მასპინძელთა დაცვამ სტუმრებს მეორე გოლიც საჩუქრად მიართვა. ჩემთვის ახლაც გაუგებარია, რატომ შესცქეროდნენ მსაჯს ბათუმელი ფეხბურთელები, იმის ნაცვლად, რომ ჯერ უოკერისთვის, ხოლო შემდეგ დონელისთვის შეეშალათ ხელი. კი, შეიძლება, აშკარა ჯარიმაც იყო, მაგრამ თამაში ხომ სასტვენამდე გრძელდება. რაც შეეხება მსაჯს, აშკარა მიკერძოებას ვერ დავაბრალებ, მაგრამ ისე მომეჩვენა, თითქოს სტუმართა სასარგებლოდ ძალიან ხშირად ცდებოდა. მარჯვენა გვერდითმა კი ჯერ ორი იმისთანა აუტი აჩუქა „სელტიკს“, მერე უოკერისა და ტომის ისეთი თამაშგარე გაატარა, რომ ტრიბუნებმა აღშფოთება ვერ დამალეს და ორენ ფაბიანის წინაპრები უსიამოვნო კონტექსტში მოიხსენიეს. კიდევ კარგი, ბალაძემ ივაჟკაცა, თორემ ყველაფერი პირველ ნახევარში დამთავრდებოდა და მეორე ტაიმში ჩვენი ბიჭების ოცდაათწუთიან ბრწყინვალე თამაშს ვერ ვნახავდით. ტაიმის ბოლოს ტომმა სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ბალაძემ ისევ მოიგერია.

მეორე ნახევარში ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა მალანიასა და უჯმაჯურიძის ნაცვლად დავით მახარაძე და კანტიძე გამოიყვანა. როგორც „ობილიჩთან“, ახლაც არ შემცდარა. ორივე ბრწყინვალედ ჩაერთო თამაშში. ბათუმელები ისე ათამაშდნენ, „სელტიკი“ თავის საჯარიმოს არ მოსცილებია. ის კი არა, უოკერი და ტომიც დაცვაში ჩადიოდნენ. სტუმართა მწვრთნელი ტომი ბერნსი გაცოფებული ღრიალებდა, ხოლო ჩვენს წინ მსხდომმა შოტლანდიელმა კოლეგებმა, რომლებიც მანამდე წამდაუწუმ ტელეფონით უკავშირდებოდნენ რედაქციებს, აპარატებს ხელი უშვეს და თამაშისთვის თვალი არ მოუცილებიათ. სათადარიგო მსაჯი ეიელ ზური წესრიგს მხოლოდ მასპინძლებისთვის იცავდა. სხვა, აბა, რა ვიფიქრო, როდესაც სტუმართა მწვრთნელს გვერდით ხაზთან მისვლას და ფეხბურთელებთან დალაპარაკებას არ უშლიდა, ხოლო ჩხარტიშვილს წამოდგომასაც არ აცლიდა და მაშინვე მისკენ გამორბოდა. მინდორზე კანტიძის გამოჩენამ ტულუში თავის ჩვეულ პოზიციაზე დააბრუნა და ამანაც პირდაპირ აიკლო სტუმართა დაცვა. თორლაშვილი და კანტიძე მოედნის შუაგულს საბოლოოდ დაეპატრონნენ. ჩვენს ლიბეროს მალხაზ მახარაძეს კი საშუალება მიეცა წინ წაწეულიყო. მუჯირმა, ამათზე ნაკლები რითი ვარო და, დამატებითი სიჩქარეები ჩართო. მოკლედ, „სელტიკი მყარად ჩაჯდა დაცვაში. მუჯირის გარღვევას ჩაწოდება მოჰყვა, მეკარემ გამოსვლაზე უხეიროდ ითამაშა, დათო მახარაძე ამას არ ელოდა და ბურთს თავი ააცილა. არ გასულა წუთიც და მახარაძე ტულუშის სახიფათო კომბინაციას ზუსტი დარტყმალა დააკლდა. ცოტა ხანში ისევ მუჯირმა აიწყვიტა — საჯარიმოს კუთხესთან კანტიძისგან მიიღო პასი, სოლო რეიდი მოაწყო, სამი მცველი ზურგსუკან მოიტოვა და მარშალს ახლო კუთხეში დაურტყა. სტუმართა მეკარემ დიდი გაჭირვებით მოიგერია ბურთი კუთხურზე. მცირე ხანიც და კანტიძემ უზუსტესი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა დათო მახარაძე. გვერდითმა მსაჯმა ისეთი თამაშგარე მოიგონა, შოტლანდიელებსაც გაუკვირდათ. ამასობაში 65-ე წუთიც მოახლოვდა. თორლაშვილმა მეტოქის უიშვიათესი კონტრშეტევა ჩაშალა და ბურთი ტულუშს მიაწოდა. თემურმა, ყველას რომ ეგონა, კარში დაარტყამსო, ბურთი მისკენ გამოქანებულ ორ მცველს გადაუგდო თავზე და ულამაზესი გოლი გაიტანა. ასეთ გოლს ნებისმიერი ფეხბურთელი ინატრებდა. ამის მერე რამდენიმე წუთი „ბათუმი“ ინერციით კიდევ უტევდა, მაგრამ მალე დაღლილობამ იჩინა თავი — ფიზიკური მომზადება ხომ ჩვენი ფეხბურთელების აქილევსის ქუსლია. ჩინებულად მოთამაშე ტულუში სრულიად დაიხარჯა და ადგილი ფუტკარაძეს დაუთმო. ამასობაში სტუმრები გამოერკვნენ, ნახეს, მასპინძლები მოიღალნენო და კონტრშეტევებს უმატეს. აშკარა იყო, ბათუმელები მეტს ველარ გაიტანდნენ, ამიტომ საჭირო იყო მიღწეულის შენარჩუნება, მაგრამ ვინ გაცალა. „სელტიკი“ სულ უფრო ხშირად სტუმრობდა ჩვენების საჯარიმოში. ერთ-ერთი შეტევისას შანიძემ უოკერს წესების სრული დაცვით აართვა ბურთი, მაგრამ ამ უკანასკნელმა მაისურზე მოჰქაჩა და წააქცია, ესეც არ იკმარა და წაქცეულს სრულიად აშკარად ხელი გაარტყა. მანვე ბურთს ფეხი გაჰკრა და აუტში გადააგდო. ვალში არც წამომდგარი შანიძე დარჩენია — მეტოქეს ყბაში გვარიანად უთავაზა. ამასობაში მსაჯმა გალიმებული სახით მოირბინა, აჩოჩქოლებული ფეხბურთელები დააშოშმინა და, გაუგებარი დაგვრჩა რატომ, შოტლანდიელებს აუტი მოაწოდებინა. სანამ მასპინძლები კლეინს „ლოცვა-კურთხევით“ მოიხსენიებდნენ, მანამ სტუმრებმა იხეირეს. ჩხუბისთავმა უოკერმა ბურთი მშვიდად მიიღო საჯარიმოში, მიაწოდა ტომს, რომელმაც დაწოლილ ბალაძეს ასევე მშვიდად გადახედა და გამარჯვების გოლი გაიტანა. დარჩენილ დროში ღირსშესანიშნავი ალა-



ანდრეას ტომი და გელა შეყილაძე

რაფერი მომხდარა. „სელტიკმა“ მატჩი აუღელვებლად დაასრულა გამარჯვებით. მაყურებელმა, რა თქმა უნდა, სტუმრები ტაშით გააცილა, საკუთარი ფეხბურთელები კი რატომღაც დაივიწყა. სტვენას და უგულო მოპყრობას ისინი ნამდვილად არ იმსახურებდნენ.

***

ქართველებს რომ სტუმრის პატივისცემა არ გვეშლება, ეს რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ ისე არ უნდა მოხდეს, კაცს შინაური დაგვავიწყდეს. რატომ სარგებლობდნენ ადგილობრივი ჟურნალისტები სტუმრის სტატუსით, ესეც სრულიად გაუგებარია. მოკლედ, პრეს-კონფერენციამ საკმაოდ არაორგანიზებულად ჩაიარა. როცა ჩვენი ჯერი დადგა, გამოაცხადეს, „სელტიკის“ მწვრთნელს ეჩქარება, მეტი დრო არა აქვსო. ასე დავრჩით პირში ჩალაგამოვლებულები. აი, რა თქვეს ორივე გუნდის მწვრთნელებმა:

**ტომი ბერნსი:** ჩვენ ვიცოდით, რომ ძნელი თამაში გველოდა. ვცდილობდით, არააგრესიული, დაწყნარებული ფეხბურთი გვეთამაშა, რაც ნაწილობრივ მოვახერხეთ კიდეც. ბათუმის „დინამომ“ მეორე ნახევარში ნამდვილი შტურმი მოგვიწყო. შედეგით კმაყოფილები ვართ, მაგრამ გლაზგოშიც ძნელი თამაში მოგველის. ჩვენს მეტოქეს ფიზიკური ძალა არ ეყო, ხოლო, ჩემი აზრით, 4, 7, 8, 9, 16 ნომრები მაღალი კლასის მოთამაშეები არიან და მოხარული ვიქნებოდი, ისინი გუნდში მყოლოდა.

**ვალერიან ჩხარტიშვილი:** დაცვაში დასანანი შეცდომები დავუშვით. ეს არ იყო ჩვენი საუკეთესო მატჩი. ჩემს გუნდს ფიზიკურ მომზადებაში 2,5-ს ვუწერ, ხოლო ტაქტიკურ და ტექნიკურ შესრულებაში 3-ს. შეიძლება მსაჯის შეცდომაზეც ილაპარაკო, მაგრამ მინდორზე ის იღებს გადაწყვეტილებას და ფეხბურთელის ვალია, ბოლომდე იბრძოლოს...

პრეს-კონფერენციის შემდეგ ფეხბურთელებსაც გამოველაპარაკე.

**რუდი ვატა:** წელს უკვე მესამედ მიწევს ქართველების წინააღმდეგ თამაში და ლამისაა, სისხლი გამიშრეს. თქვენებს რომ დაცვაში შეცდომები არ დაეშვათ, ძნელი სათქმელია, როგორ დამთავრდებოდა მატჩი. დღეს ფორტუნა ჩვენს მხარეს იყო. დანამდვილებით ვიცი, საპასუხო თამაში უფრო მძაფრი და საინტერესო იქნება.

**მალხაზ მახარაძე:** დასანანი შეცდომები დავუშვით და შედეგიც შესატყვისი მივიღეთ. მსაჯიც არაობიექტურად ირჯებოდა. „სელტიკი“ დამშვიდებული ნუ იქნება, იქაც ბრძოლას გავუმართავთ.

**პაატა მაჭუტაძე:** როცა პირველი გოლი გავიტანე, მეგონა, აუცილებლად მოვიგებდით. ერთხელაც ვერ გადაგვარჩინა დაცვამ. ან მე რაღამ ჩამიყვანა იმ დაწყევლილ საჯარიმოში, იქნებ გოლი არ გაგვეშვა და საქმეც სხვაგვარად წასულიყო. ვეცდებით, საპასუხო მატჩში მდგომარეობა გამოვასწოროთ და პრესტიჟი აღვიდგინოთ.

**თეიმურაზ ტულუში:** მოდით, დავფიქრდეთ და ისე ვიმსჯელოთ: რომელი გოლი იყო გასაშვები — არცერთი. როცა საჯარიმოსთან ბურთი მივიღე, დარტყმას ვაპირებდი, მაგრამ ჩემსკენ გამოქანებული მცველების დანახვისას გავიფიქრე, თავზე გადავუგდებ-მეთქი, დანარჩენი ყველამ დაინახა. არავის ეგონოს, უბრძოლველად დავთმობთ რამეს, დასაკარგი რა დაგვრჩენია.

***

გზად თბილისისაკენ თამაშის ფრაგმენტები მახსენდობდა. ერთი რამ ცხადია: „სელტიკის“ ძველი დიდებიდან მხოლოდ სახელილა თუა დარჩენილი. არა მგონია, ამაში ვინმე შემეკამათოს. ბათუმში გლაზგოელებს არც მაღალი კლასი უჩვენებიათ და არც ლამაზი თამაში. უბრალოდ, ჩვენი დაცვის სისუსტე კარგად გამოიყენეს. ეს თამაში სტუმრებმა კი არ მოიგეს, ჩვენ ვაგეთ. მატჩის შემდეგ გოჩა ჩიქოვანმა, რომელიც მავანთა დაუდევრობის გამო ისევ სათადარიგოთა სკამზე იჯდა, სრულიად სამართლიანად და დანანებით აღნიშნა:

— დღეს ხუთივე გოლი ჩვენს წილად იყოო...

კარგია, რომ ბათუმელი ფეხბურთელები ყურების ჩამოყრას არ აპირებენ და იქაც ბრძოლას ეშურებიან. რა ვიცით, ბურთი მრგვალია... ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

მამუკა ქვანტალიანი
ბათუმი-თბილისი



ამირან მუჯირი კლავაც ჰქტორობდა

# შოტლანდიელი ჟურნალისტი ბეჰემოტის გავაში

თავიდან უშუალოდ ფეხბურთზე: შოტლანდიურმა პრესამ ობიექტურად გააშუქა „ბათუმისა“ და „სელტიკის“ თამაში, დაწვრილებით აღწერა ყველა სახიფათო მომენტი ამ თუ იმ კართან, აღნიშნა, რომ ბათუმის გუნდს უპირატესობა ჰქონდა და რომ საქართველოში ფეხბურთის თამაში ეხერხებათ, მატჩის გმირად ანდრეას ტომი გამოაცხადა და ძალიან დიდი სიხარული გამოთქვა სტუმრად უმძიმეს შეხვედრაში გამარჯვების გამო. სხვათა შორის, მატჩის წინ ადგილობრივ ტოტალიზატორებში ფავორიტად ქართველებს მიიჩნევდნენ. შემდეგ კი დაიწყო ყველაზე უსიამოვნო. უმეტეს ნაწილს იმისას, რაც აქაურმა გაზეთებმა დაწერეს, შეგნებულად არ მოვიყვანთ ეთიკური მოსაზრებების გამო. პარასკევის „დეილი რეკორდში“ გამოქვეყნებულია ჟურნალისტ ბილ ლეიკის სტატია, რომელსაც დიდი ვირთხის გამოსახულება „ამშვენებს“. სტატია იწყება ასე: „ღმერთმა ექვსი დღის განმავლობაში შექმნა მსოფლიო, მეშვიდე დღეს კი იღლიიდან ოფლი გამოიწმინდა და ბათუმი გააკეთა. ჩვენ ვიყავით ღვთისგან მივიწყებულ ქალაქში. იქ ერთმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა ბათუმი ბრაიტონს შეადარა. მე მას არ ვეთანხმები, ბათუმი უფრო სადამ ჰუსეინის მიერ დაბომბილ ქალაქს ჰგავს, რომლის მთავარი ღირსშესანიშნაობაც გახლავთ ძროხა. ძროხები არიან ყველგან, დაწყებული აეროპორტიდან, სასტუმროს შესასვლელით დამთავრებული. სასტუმრო „სპუტნიკი“, სადაც ჩვენ მოგვათავსეს, ის ადგილია, სადაც არც ტელეფონია, არც ტელევიზორი, აბაზანაში კი მხოლოდ აირწინაღით თუ შეხვალთ. ერთადერთი ტელეფონი ჰოლშია და ისიც იშვიათად მუშაობს. რაც შეეხება ქალაქს, მისი ყველაზე კარგი რაიონი ლტოლვილების ბარაკს მოგაგონებთ. ოფლიანი და გაუპარსავი ბათუმელი კაცები რატომღაც ჯგუფ-ჯგუფად დადიან და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვიღაც უნდა მივიდეს და უთხრას, რა აკეთონ. ერთადერთი, რამაც გამაოცა, ქალების ჩაცმულობა იყო. ჯინსიანი ქალების დანახვა იგივე იყო, უდაბნოში ყვავილი რომ მეპოვნა...“

წერილი ასეთ და უარეს ტონში გრძელდება, ხოლო ფინალი ამგვარი აქვს: „ბედნიერი ვარ, რომ მხოლოდ ერთი დღე დავყავი ამ ეგრეთ წოდებულ ქალაქში, სადაც მეორედ წასვლას მირჩევნია ბეჰემოტის უკანა ზურგში ჩავძვრე ორი კვირით, თანაც მაშინ, ამ ბეჰემოთს კუჭი რომ აქვს აშლილი.“

შაბათს გაზეთში გამოქვეყნდა ინტერვიუ ალბანელ რუდი ვატასთან, რომელიც თავისი ქვეყნის ნაკრებში წლეულს 26 აპრილს საქართველოში უკვე ნამყოფი გახლდათ. ვატას თქმით, ბათუმში ჩასვლამდე მას ეგონა, რომ ყველაზე ულმობელი და უსახური ქვეყნიდან თავად იყო, მაგრამ ახლა აზრი შეიცვალა. წასვლამდე პანიკას აყოლილ ბიჭებს ვაწყნარებდი, ვეუბნებოდი, რომ თბილისში ნამყოფი ვარ, სადაც ფანტასტიკურ სასტუმროში მოგვათავსეს, მაგრამ იმისათვის, რაც ბათუმში ვნახე, მზად ნამდვილად არ ვიყავიო, ამბობს ალბანელი. იგი ყვება, რომ სასტუმროს ნომერში არ იყო პირსახოცი, ტუალეტში კი კანალიზაციის მძაფრი სუნი იდგა. ასეთი სასტუმროები, ამბობს ვატა, თვით ოცი წლის წინანდელ ალბანეთშიც არ იყო. „ვარჯიშის შემდეგ დაბანა რომ დავაპირე, ისეთი წყალი წამოვიდა, მივხვდი, რომ დაბანამდე უფრო სუფთა ვიყავი“ — თქვა ვატამ. თავისი ქვეყნისა და საქართველოს შედარებისას იგი ამბობს, რომ მისი ალბანეთი რაღაც განვითარების გზაზე მაინც დგას, იქ კი, თუ რამე უნდათ, ყველაფერი უნდა დაანგრიონ და თავიდან დაიწყონ.

„სელტიკის“ ოფიციალური პირები უეფაში საჩივრის შეტანას აპირებენ. მარტო ისიც კმარა აღსაშფოთებლად, რომ წამოსვლისას ჩვენი მწვრთნელი 2 საათით დააყოვნეს, რადგან შოტლანდიასთან სატელეფონო საუბრების გადასახადის დათვლა მანამდე ვერ მოახერხესო. მათი თქმით, „სელტიკი“ მისი ისტორიის მანძილზე ამდენი ხნით არსად დაუყოვნებიათ. ერთადერთი კმაყოფილი კაცი მწვრთნელი ტომ ბერნსი გახლდათ, რომელსაც ის ეამა, რომ ბათუმის ნახვის შემდეგ დაასკვნა, თურმე ჩვენს სამშობლოში რა ბედნიერები ვყოფილვართო. „სელტიკის“ ოფიციალურ პირთა აზრით, ისეთი ქალქის გუნდი, როგორიც ბათუმია, ევროტურნირებთან ახლოსაც არ უნდა მიუშვან, რადგან ფეხბურთი, ბოლოსდაბოლოს, სპორტია, ის კი, რაც მათ გუნდს გადახდა, სპორტის საზღვრებს სცილდება. შაბათის სტატია ასე მთავრდება: „სამყაროს ბოლოში დგას წარწერა, აქედან ბათუმამდე კიდევ 14 მილია.“

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ შოტლანდიელები, ეტყობა, ძლიერ პრეტენზიული ხალხია, რადგან გლაზგოს მეორე გუნდის „რეინჯერსის“ წარმომადგენელმა განაცხადა, გავეცანი „სელტიკის“ გასაჭირის ამბავს, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩვენთან შედარებით („რეინჯერსი“ ჩემპიონთა ლიგაში ბუქარესტის „სტიაუას“ სტუმრობდა) სამოთხეში ყოფილანო.

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ კლუბ „პადოვას“ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიასთან მოუწევს საქმის დაჭერა. მიზეზი ის გახლავთ, რომ „ნაპოლისთან“ თამაშის დროს „პადოვას“ ხუმარა ქომაგებმა გამოფინეს დიდი პლაკატი: „შეწყდეს ბირთვული აფეთქებები მურუროაში, ისინი ნეაპოლში გადაიტანეთ!“ შვეიცარიის ნაკრების მოწოდებას ბირთვული იარაღის გამოცდების წინააღმდეგ აქ ასე გამოეხმაურნენ, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციას იუმორის გრძნობა არ აღმოაჩნდა და ლოზუნგი რასიზმად და იტალიის მდიდარი ჩრდილოეთის მხრივ შედარებით ღარიბი სამხრეთისადმი ზიზღად ჩათვალა. მოსალოდნელია, რომ „პადოვას“ დააჯარიმებენ, ის კი არა, შეიძლება ქულებიც ჩამოართვან.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა ამ ქვეყანაში მოთამაშე ფეხბურთელთა შორის უპოპულარულესი. ასეთია ბრაზილიელი ჟორჟინიო, რომელიც ადრე მიუნხენის „ბაიერნში“ გამოდიოდა, ახლა კი „კასიმა ანტლერზში“ თამაშობს. მეორე ადგილზე მისი თანამემამულე მასავით მსოფლიოს ჩემპიონი და „ანტლერზში“ თანაგუნდელი ლეონარდოა, მესამეზე კი გერმანელი გვიდო ბუხვალდი გავიდა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲛᲐ მარკუს ბაბელმა მიუნხენის „ბაიერნთან“ კონტრაქტი გააგრძელა. ბაბელის ძველი კონტრაქტი 1996 წლის 30 ივნისს იწურებოდა, ახალი კი 1999 წლის 30 ივნისამდეა. დორტმუნდის „ბორუსიას“ ცნობილი მოთამაშე იურგენ კოლერი კი წინა ტურში „ზანკტ პაულთან“ თამაშის დროს მოედნიდან გააძევეს. მსაჯმა მიიჩნია, რომკოლერმა მეტოქეს, დინცეის თმებზე მოჰქაჩა. სადისციპლინო

## ფეხბურთის რუკასთან



კომისიამ მსაჯის გადაწყვეტილება გააუქმა, რადგან დინცეის თმა იმდენად მოკლედ აქვს შეკრეჭილი, რომ მოსაქაჩი არაფერია. დორტმუნდელთა და გერმანიის ნაკრების მცველი დისკვალიფიკაციას გადარჩა.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘ ვარსკვლავი რომარიო „ფლამენგოს“ ერთ-ერთ ვარჯიშზე შეუძლოდ გახდა და ნახევარი წუთით გონება დაჰკარგა. ფეხბურთელი მყისვე კლინიკაში გააქანეს, საიდანაც მეორე დღეს გამოეწერა. „საშინლად შემეშინდა — თქვა საავადმყოფოდან გამოსულმა — ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი რამ კიდევ განვიცადო.“

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ნაკრებისა და „პარი სენ ჟერმენის“ მეკარემ ბერნარ ლამამ ქვეყნის ჩემპიონატის წინა ტურში „მონაკოსთან“ გამარჯვების შემდეგ (2:1) სახლში დაბრუნებულმა მარცხენა ფეხის ტკივილი იგრძნო. სამედიცინო შემოწმებამ დაადგინა, რომ ლამას კუნთი აქვს გაწყვეტილი. ახლა, 11 ოქტომბერს სამფეროვანთა ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანეს მატჩში რუმინეთის წინააღმდეგ გუნდის კარს „მონპელიეს“ მეკარე ბრუნო მარტინი დაიცავს.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ „კიოლნის“ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს 35 წლის შტეფან ენგელსი. ენგელსმა თავის დროზე ბუნდეს ლიგაში 236-ჯერ ითამაშა და 39 გოლი გაიტანა, ნაკრებში კი 8-ჯერ მისცეს მონაწილეობის საშუალება. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონი „კიოლნმა“ ძველი მწვრთნელის, წარსულში ცნობილი დანიელი ფეხბურთელის მორტინ ოლსენის ხელმძღვანელობით დაიწყო. მაგრამ თასის გათამაშების პირველ ეტაპზე სამოყვარულო „ბეკუმოსთან“ დამარცხების გამო (ძირითადი დრო 0:0, პენალტებით 3:4) ოლსენი თანამდებობიდან წავიდა.

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘᲡ „გეტებორგის“ მწვრთნელი როჯერ გუსტაფსონი გადადგა. გუსტაფსონის ხელმძღვანელობით გუნდი ოთხჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი და ჩემპიონთა თასზეც, მოგეხსენებათ, საკმაოდ კარგად ასპარეზობდა. მწვრთნელის თქმით, იგი ბავშვთა ფეხბურთს დაუბრუნდება.

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲛᲐ სუპერვარსკვლავმა დიეგო მარადონამ დაიწყო ძველი გეგმის „ფეხბურთელთა კავშირის“ შექმნის განხორციელება. საამისოდ მან პარიზში მიიპატიჟა მრავალი ცნობილი მოთამაშე, რომელთაგან ფრანკო ბარეზიმ, ერიკ კანტონამ და რუუდ გულიტმა თანხმობა განუცხადეს. მარადონას თქმით, დროა, რომ ფეხბურთელებმა თავად გადაწყვიტონ მათთან დაკავშირებული პრობლემები, რადგან დღემდე ამ საქმეში ისეთი ხალხი აფათურებს ხელს, ცხოვრებაში მოედანზე, რომარ გასულან. იგი თვლის, რომ მოთამაშეთა კუთვნილი, ოფლით ნაშოვნი ფული ფიფას სადღაც მიაქვს და რაში იხარჯება, კაცმა არ იცის. „არავის ვემუქრები, მაგრამ თუ უახლოეს ხანს ეს საკითხები არ მოგვარდება, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება შესაძლოა დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს — დაიმუქრა მარადონა.

# გზა აფრიკის მწვერვალისკენ

გაისად, 13 იანვარს იოჰანესბურგში სამხრეთ აფრიკისა და კამერუნის შეხვედრით გაიხსნება აფრიკის მეოცე ჩემპიონატი, რომელიც 3 თებერვლამდე გასტანს. თამაშები გარდა იოჰანესბურგისა გაიმართება ბლუმფონტეინში, დურბანსა და პორტ ელიზაბეტში. მოგეხსენებათ, პირველად ამ კონტინენტის პირველობათა ისტორიაში ფინალურ სტადიაზე მონაწილეობს 16 გუნდი (ადრე 12 მონაწილეობდა), რომელთაგან შესარჩევი ციკლის გარეშე ორი დაუშვეს. ესენია მასპინძელი სამხრეთ აფრიკა და ჩემპიონი ნიგერია. დანარჩენი 14 გუნდი ძლიერთა კამპანიაში თავიანთ ქვეჯგუფებში პირველ მეორე ადგილებზე გასვლით მოხვდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I ჯგუფი** | | | | | | |
| ზაირი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:5 | 7 |
| კამერუნი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| მალავი | 6 | 1 | 3 | 2 | 6:6 | 5 |
| ზიმბაბვე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | 5 |
| **II ჯგუფი** | | | | | | |
| ლიბერია | 8 | 3 | 4 | 1 | 6:5 | 10 |
| ტუნისი | 8 | 3 | 4 | 1 | 7:2 | 10 |
| სენეგალი | 8 | 3 | 3 | 2 | 10:8 | 9 |
| მავრიტანია | 8 | 1 | 4 | 3 | 3:6 | 6 |
| ტოგო | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | 5 |
| **III ჯგუფი** | | | | | | |
| განა | 6 | 5 | 0 | 1 | 15:4 | 10 |
| სიერა ლეონე | 4 | 0 | 2 | 1 | 4:11 | 8 |
| კონგო | 5 | 1 | 0 | 4 | 6:11 | 2 |
| ნიგერი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:16 | 2 |
| **IV ჯგუფი** | | | | | | |
| ეგვიპტე | 10 | 6 | 3 | 1 | 24:5 | 15 |
| ალჟირი | 10 | 4 | 5 | 1 | 12:7 | 13 |
| უგანდა | 10 | 3 | 4 | 3 | 11:16 | 10 |
| ტანზანია | 10 | 4 | 0 | 6 | 14:15 | 8 |
| სუდანი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:14 | 8 |
| ეთიოპია | 10 | 2 | 2 | 6 | 4:18 | 6 |
| **V ჯგუფი** | | | | | | |
| გაბონი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| ზამბია | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| მავრიკეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:11 | 0 |
| **VI ჯგუფი** | | | | | | |
| ანგოლა | 10 | 6 | 2 | 2 | 17:8 | 14 |
| მოზამბიკი | 10 | 6 | 2 | 2 | 16:8 | 14 |
| გვინეა | 10 | 5 | 2 | 3 | 17:9 | 12 |
| მალი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:10 | 11 |
| ნამიბია | 10 | 1 | 5 | 4 | 8:16 | 7 |
| ბოტსვანა | 10 | 0 | 2 | 8 | 5:27 | 2 |
| **VII ჯგუფი** | | | | | | |
| ბურკინა ფასო | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 5 |
| სპილოს ძვ. ნაპ. | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 4 |
| მაროკო | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 3 |

16 ფინალისტი კენჭისყრამ ასე დააჯგუფა:

„ა“ ჯგუფი: ანგოლა, კამერუნი, ეგვიპტე, სამხრეთ აფრიკა

13.01 სამხრეთ აფრიკა — კამერუნი
15.01 ეგვიპტე — ანგოლა
18.01 კამერუნი — ეგვიპტე
20.01 სამხრეთ აფრიკა — ანგოლა
24.01 სამხრეთ აფრიკა — ეგვიპტე
კამერუნი — ანგოლა

„ბ“ ჯგუფი: ალჟირი, ბურკინა ფასო, სიერა ლეონე, ზამბია

14.01 ზამბია —ალჟირი
15.01 სიერა ლეონე — ბურკინა ფასო
18.01 ალჟირი — სიერა ლეონე
20.01 ზამბია — ბურკინა ფასო
24.01 ზამბია — სიერა ლეონე
ალჟირი — ბურკინა ფასო

„გ“ ჯგუფი: გაბონი, ლიბერია, ნიგერია, ზაირი

14.01 ნიგერია — ზაირი
16.01 გაბონი — ლიბერია
19.01 ზაირი — გაბონი
21.01 ნიგერია — ლიბერია
25.01 ნიგერია — გაბონი
ზაირი — ლიბერია

„დ“ ჯგუფი: განა, სპილოს ძვლის ნაპირი, მოზამბიკი, ტუნისი

14.01 სპილოს ძვლის ნაპირი — განა
16.01 ტუნისი — მოზამბიკი
19.01 განა — ტუნისი
21.01 სპილოს ძვლ. ნაპ. — მოზამბიკი
25.01 სპილოს ძვლ. ნაპ. — ტუნისი
განა — მოზამბიკი

„ა“ და „ბ“ ჯგუფის თამაშები იოჰანესბურგში გაიმართება, გარდა კამერუნ — ანგოლას (დურბანი) და ალჟირ — ბურკინა ფასოსი (პორტ ელიზაბეტი). „გ“ ჯგუფის გარდა ზარი — ლიბერიისა (იოჰანესბურგი) დურბანში ითამაშებს, ხოლო „დ“ ჯგუფი გარდა განა — მოზაბიკისა (ბლუმფონტეინი) პორტ ელიზაბეტში

მეოთხედფინალები:

1. ა1 — ბ2 ოჰანესბურგი 27.01
1. ბ1 — ა2 ბლუმფონტეინი 27.01
3. გ1 — დ2 დურბანი 28.01
4. დ1 — გ2პორტ ელიზაბეტი 28.01

ნახევარფინალები:

1-2 იოჰანესბურგი 31.01
3-4 დურბანი 31.01

მესამე ადგილისთვის და ფინალი
იოჰანესბურგი 03.02

## თასეის თასი
## 14 სექტემბერი

ბათუმი (საქართველო) — სელტიკი (შოტლანდია) 2:3
მაჭუტაძე (11), ტულუში (68); ტომი (24, 87), დონელი (42)
დინამო (მოსკოვი, რუსეთი) — არარატი (სომხეთი) 3:1
ჟალგირისი (ლიტვა) — ტრაბზონსპორი (თურქეთი) 2:2
ტერეშკინი (6), მიკულენასი (66); შ.არველაძე (24), აბდულა (53)
ბრიუგე (ბელგია) — შახტიორი (უკრაინა) 1:0
შპეხარი (87)
დაგ (ლატვია) — ფეიენოორდი (ჰოლანდია) 0:7
ხ.ლარსენი (2), ბლინკერი (48, 59, 62), ტრასტფული (61), რ.კუმანი (78), ობიკუ (89)
რეიკიავიკი (ისლანდია) — ევერტონი (ინგლისი) 2:3
ბიბერჩიჩი (36 პ, 67 პ); ებრელი (22), ანსვორთი (57 პ), ამოკაში (88)
რაპიდი (ავსტრია) — პეტროლული (რუმინეთი) 3:1
ბარისიჩი (45, 90 პ), ივანოვი (60); ტოადერი (65)
ტეუტა (ალბანეთი) — პარმა (იტალია) 0:2
ძოლა (82, 83)
სპორტინგი (პორტუგალია) — მაკაბი (ხაიფა, ისრაელი) 4:0
ბარბოსა (7, 10, 48), ზე პინტუ (89)
აეკ (საბერძნეთი) — სიონი (შვეიცარია) 2:0
ვლახოსი (45), ბორბოკისი (70)
ინტერი (ბრატისლავა, სლოვაკეთი) — სარაგოსა (ესპანეთი) 0:2
მორიენტესი (43), ოსკარი (61)
აპოელი (კვიპროსი) — ლა კორუნია (ესპანეთი) 0:0
ლოკომოტივი (სოფია, ბულგარეთი) — ჰალმსტადი (შვედეთი) 3:1
მარინოვი (40), პეტკოვი (43), დონელი (57); სვენსონი (33)
მიოლდე (ნორვეგია) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 2:3
სოლკიაერი (55), სტავრუმი (81); ლე გენი (75), ჯორკაეფი (78 პ), დელი ვალდესი (83)
ჰრადეც-კრალოვი (ჩეხეთი) — კოპენჰაგენი (დანია) 5:0
სამეცი (33, 76), გინეკი (39), ჩერნი (55), პტაჩეკი (90)
მიონხენგლადბახი (გერმანია) — სილექსი (მაკედონია) 3:0
ფლიპსენი (6), ეფენბერგი (19), კლინკერტი (87)

## უეფას თასი
## 14 სექტემბერი

ვარდარი (მაკედონია) — ბორდო (საფრანგეთი) 0:2
ბანკარელი (26, 75)
ლანსი (საფრანგეთი) — ავენირი (ლუქსემბურგი) 6:0

# მკითხავი მართალი გამოდგა

...„დიდი ხნის წინ მკითხავი ქალი შემხვდა. მაშინ დიდების მწვერვალზე ვიყავი. მკითხავმა მითხრა, ცხოვრების მეორე ნახევარში უფრო ცნობილი გახდებიო. მახსოვს, მაშინ გამეცინა. უცნაურია, მაგრამ ის ქალი მართალი გამოდგა.“ — იგონებს ფრანც ბეკენბაუერი, რომელიც 50 წლის გახდა. იცით რატომ უწოდეს ბეკენბაუერს „კაიზერი“? ერთხელ, ახალგაზრდობაში დიდი ფეხბურთელი ჩავიდა ვენაში, სადაც რომელიღაც ფოტოკორესპონდენტმა სთხოვა, კაიზერ ფრანც იოსების ძეგლის გვერდით დადექით, ფოტო უნდა გადაგიღოთო. იმ ფოტომ მოიტანა მეტსახელი კაიზერ ფრანცი. დღეს ბეკენბაუერი დიდი საფეხბურთო და საზოგადო მოღვაწეა. იყო მსოფლიოს ჩემპიონი როგორც ფეხბურთელი და როგორც მწვრთნელი, „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონი გახადა, ახლა ამ კლუბის პრეზიდენტია, ჰქონდა თავისი ტელეგადაცემა, გამოსცემს წიგნებს, 1982 წელს დაარსა ფონდი ღარიბ-ღატაკთა დასახმარებლად. დღე არ გავა, აზრი რომ არ ჰკითხონ, ამის დასტურად ნებისმიერი გერმანული სპორტული გამოცემა, ვთქვათ, „შპორტ ბილდი“ შეგიძლიათ ნახოთ, სადაც ყოველი ათი ნომრიდან მინიმუმ ექვსში მისი ფოტოა მოთავსებული. ალარაფერს ვამბობთ გაუთავებელ ტელეინტერვიუებზე, სადაც კაიზერს ფეხბურთთან დაკავშირებით ლამის ყველაფრის კომენტირება უწევს. ალბათ ამიტომაც თქვა საკუთარ იუბილეზე „სამადლობელში“, პირადი სურვილი არაფერი მაქვს, ეგა მსურს, მსოფლიოში ომები შეწყდეს, აგერ ყურისძირში ყოფილ იუგოსლავიაში ყოველდღე ათასობით ადამიანი ერთმანეთს ხოცავსო.

ბეკენბაუერის იუბილეზე ათასოთხასმა მოწვეულმა სტუმარმა მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ ფეხბურთის დიდმოხელეები, გამომცემლები, ყოფილი ვარსკვლავები (პელე მოუცლელობის გამო ვერ ჩავიდა გერმანიაში), ორი ყოფილი მეუღლე ბრიგიტა და დიანა და, ბუნებრივია, ახლანდელი ცოლი სიბილი. მოიგონეს ასეთი ეპიზოდი: თხუთმეტი წლის წინ ნიუ-იორკის „კოსმოსში“ თამაშისას კაიზერს დერეფანში შეხვდა ტენორთა მეფე პავაროტი, რომელიც ფეხბურთის ვარსკვლავის დანახვაზე მის წინაშე მუხლებზე დაეცა. ერთადერთი, რისი თქმაც მაშინ შემცბარმა ბეკენბაუერმა მოახერხა, ეს იყო — „ქრისტე ხომ არა ვარ“.

დიდებულ ბანკეტს, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, წინ უძღოდა მატჩი გერმანია — დანარჩენი მსოფლიო, რომლის ძირითადი დროც 8:8 დამთავრდა, პენალტებით კი



მსოფლიომ 4:2 იმძლავრა. თავად კაიზერმა პირველ ტაიმში გერმანელთა რიგებში ითამაშა, მეორეში კი პლანეტელთა შორის იყო. შეხვედრას 20 ათასი გულშემატკივარი დაესწრო.

„ბედნიერებაა, რომ ჯანმრთელი ვარ, დავრბივართ, ვმუშაობ... რა მნიშვნელობა აქვს, 30 წლის ვარ, 50-ის თუ 70-ის“ — განაცხადა ბეკენბაუერმა, რომელსაც სამომავლოდაც დიდი გეგმები აქვს.

# იტალია

სერია A. III ტური.

ბარი 3:3 ლაციო

(33 000 მაყურებელი)

ბარი: ფონტანა, მონატანარი, რიჩი, სალა, მანგონა, სავიერი (ფიჩინი 62), პარენტე (გაუტიერი 70), პედონე, მანიგეტი, ანდერსონი (გერერო 70), პროტი

ლაციო: მარკეჯანი, გოტარდი, ნეგრო, შამოტი, ფავალი, ფუზერი, დი მატეო, ვინტერი, რამბაუდი (კაზირაგი 46), ბოკშიჩი (ბერგოდი 72), სინიორი (პიოვანელი 71)

გოლები: პროტი (2,14,48); ვინტერი (43), კაზირაგი (57), სინიორი (59პ)

გაფრთხილება:საველი, მანიგეტი, პედონე, მონტანარი, ანდერსონი

გაძევება: გოტარდი

სამპდორია 3:0 პარმა

(35 000 მაყურებელი)

სამპდორია: პაგოტო, ბალერი, მანინი, ფრანჩესკეტი, საკეტი, კარამბუ, ზეედორფი, მიჰაილოვიჩი (ევანი 88), კიეზა (ბელუჩი 54), მანიერო (ინვერნიცი 71), მანჩინი

პარმა: ბუჩი, ბენარივო (დი კიარა 5), კანავარო, აპოლონი, მუსი, დ. ბაჯო (ბროლინი 63), ბრამბილა (სენსინი 63), კრიპა, სტოიჩკოვი, მელი, ძოლა

გოლები: კარამბუ (21,74), ბელუჩი (87)

გაფრთხილება: ფრანჩესკეტი, მიჰაილოვიჩი, სტოიჩკოვი

უდინეზე 3:2 კრემონეზე

(16 000 მაყურებელი)

უდინეზე: ბატისტინი, პელეგი (ბერტოტო 46), კაროლი, ბია (რიპა 73), სერჯო, ამეტრანო, დეზიდერი, როსიტო, სტროპა, პოჯი (სტეფანი 89), ბერპოფი

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, ვერდელი, დალინია, ორლანდო, დე აგოსტინი (ფანტინი 63), ჯანდებიაჯი (გულაკო 88), პეროვიჩი, მასპერო, ფლორიანჩიჩი, ტენტონი

გოლები: ბერპოდი (61, 69), პოჯი (66); მასპერო (76პ), ფლორიანჩიჩი (80)

გაფრთხილება: ვერდელი

ფიორენტინა 3:1 კალიარი

(36 609 მაყურებელი)

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, სერენა, პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, შვარცი, ბიჯიკა (მ. ორლანდო 56), ბატისტუტა, რუი კოშტა (კოისი 46), ბაიანო (რობიატი 63)

კალიარი:ფიორი, პანკარო, პუშედუ, ვილა, ბონომი (ნაპოლი 70), ფირიკანო, ბიზოლი, ვენტურინი (სილვა 24), მუცი, ბრეშანი (ლანტინიოტი 46), ოლივეირა

გოლები: ბაიანო (1, 14), ამორუზო (16 საკუთარ კარში); ამორუზო (20)

გაფრთხილება: მ. ორლანდო, ლანტინიოტი

